დამტკიცებულია დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის
2025 წლის 14 თებერვლის N 22 „ო“ ბრძანებით

მასწავლებელის კოლეჯში მიღებისა და სამუშაო გამოცდილების დადასტურების წესი

წინამდებარე წესი შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, 2011 წლის 02 ივნისის N 97/ნ ბრძანების, „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი“-ს და ამ ბრძანებაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის N 168/ნ ბრძანებით, „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 2 ივნისის №97/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად და არეგულირებს კოლეჯში მასწავლებლის მიღების პროცედურებს და სამუშაო გამოცდილების დადასტურების საკითხს.

მუხლი 1: კოლეჯის მასწავლებლები და მათი კოლეჯში მიღების წესები და პირობები

1. **პროფესიული განათლების მასწავლებელი** – პროფესიული განათლების მასწავლებელი არის პირი, რომელიც სასწავლო პროცესს წარმართავს პროფესიული განათლების ფარგლებში.

2. პროფესიული განათლების მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:
ა) უმაღლესი განათლება / პროფესიული განათლება. (პროგრამის, მოდულის ან შედეგის შესაბამისი);
ბ) სამუშაო გამოცდილება, ბოლო ათი წლის განმავლობაში შესაბამისი პროფესიით მუშაობის მინიმუმ ერთი წელი, რაც დასტურდება სამუშაო ადგილიდან წარმოდგენილი ცნობით;
გ) პედაგოგიური გამოცდილება (სასურველია).
დ) სწავლა-სწავლების პროცესში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარები.

3. პროფესიული განათლების მასწავლებელი კოლეჯში მიიღება შრომითი ხელშეკრულებით, პროფესიული ჯგუფის სწავლების ხანგრძლივობის შესაბამისი დროით. პროფესიული ჯგუფის სასწავლო კურსის დამთავრებისთანავე თავისუფლდება დაკავებული პოზიციიდან და უუქმდება შრომითი ხელშეკრულება. ხელშეკრულება შეიძლება განუახლდეს შესაბამისი სპეციალობით, ახალი ჯგუფის მიღების შემთხვევაში.

4. თუ სასწავლებელში არსებობს ჯგუფი, რომლებშიც ისწავლება იგივე საგნები და სასწავლო პერიოდი გრძელდება, მასწავლებლის ხელშეკრულების დრო შეიძლება განისაზღვროს ერთ წელზე მეტი ვადით.
5. პროფესიული განათლების მასწავლებელს შრომის ანაზღაურება მიეცემა ფაქტიურად ჩატარებული საათების მიხედვით, ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშწორებით.

6. შრომით ხელშეკრულებაში უნდა განისაზღვროს შრომითი ურთიერთობის მხარეთა, კოლეჯის (დამსაქმებლის) და მასწავლებლის (დასაქმებულის) სხვა უფლება – მოვალეობანი, რომლებიც არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კანონმდებლობას.

მუხლი 2: მასწავლებელთა შერჩევის პროცედურები

1. მასწავლებლებლის მოძიების მიზნით შერჩევა ხორციელდება ღია ან დახურული კონკურსის წესით.

2. ღია წესით კონკურსის გამოცხადების შემთხვევაში დაწესებულების დირექტორის ბრძანების შესაბამისად სახელმწიფო დასაქმების პორტალზე (hr.ge)-ზე, ან კოლეჯის ვებგვერდზე ან კოლეჯის ფეისბუქგვერდზე ცხადდება ვაკანსია, სადაც განისაზღვრება ვაკანსიაზე კანდიდატთა რეგისტრაციის ვადები, წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა და შერჩევის ფორმა.

3. კანდიდატთა შერჩევის მიზნით დაწესებულების დირექტორის ბარძანებით იქმნება შერჩვის კომისია. კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ სამი წევრისაგან. შერჩევის კომისიაში საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მოწვეული იქნას შესაბამისი მიმართულების/დარგის სპეციალისტი.

4. შერჩევის კომისია დაწესებულების დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში ანხორციელებს ვაკანსიაზე რეგისტრირებული კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადარჩევას და კანდიდატის შერჩევას.

5. ვაკანსიაზე კონკურსის არსებობის შემთხვევაში კანდიდატის შერჩევის მიზნით შედგება გასაუბრება.

6. კანდიდატთა შერჩევის შედეგები შერჩევის კომისიის მიერ ოქმის სახით წარედგინება დაწესებულების დირექტორს, რომელიც აღნიშნული ოქმის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას.

7. დახურული (კოლეჯში მომუშავე მასწავლებლებისთვის) წესით კანდიდატის შერჩევის შემთხვევაში არ ხორციელდება ვაკანსიის განთავსება სახელმწიფო დასაქმების პორტალზე (hr.ge)-ზე, კოლეჯის ვებგვერდზე და კოლეჯის ფეისბუქ გვერდზე, კანდიდატები განცხადებით მიმართავენ უშუალოდ დაწესებულებას. შერჩევა ხორციელდება ამ წესის მე-2 მუხლის მე-3-6 პუნქტებით განსაზღვრული პირობებით.